პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 თებერვალი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 46 (15563)

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და საზღვაო-საზღვაო ფლოტის დღე

დღისით თუ ღამით, ყინვასა თუ ხიცხეში, ყოველგვარ ამინდში ფხიზლობენ საბჭოთა ცის გუშაგები — საერთაშორისო დაცვის ჯარების მებრძოლები.

ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში ფართოდ ინერგება პატრიოტული თაობნობა იარაღის მოვლასა და ფლობაში საუკეთესოს სახელის მოსაპოვებლად.

სურათზე: საერთაშორისო დაცვის მეომარი-მერაკეტეები მეცადინეობაზე.

საკადესის ფოტოქრონიკა.

სამშობლოს საიმედო ფარი

ამ უკვე 55 წელია ჩვენი შეიარაღებული ძალების საიმედოდ და ფხიზლად დგანან სოციალიზმის მონაპოვართა, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის სადარაჯოზე. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა და ჩამოყალიბება განუყრელად არის დაკავშირებული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის სახელთან, რომელსაც ისტორიული ღვაწლი მიუძღვის პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამის, სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ მოძღვრების შექმნაში. ვლადიმერ ილიას-ძემ დაამშვიდა სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის თეორიული საფუძვლები და ძირეული პრინციპები, აღნიშნა მისი სამხედრო ძალიერების შექმნისა და განმტკიცების გზები, საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას, დასახა პარადი შემადგენლობის აღზრდისა და გაწვრთნის გზები.

წითელი არმია ოქტომბრის პირველ-ში, საბჭოთა ხელისუფლების ბურჯია. ეს არის ახალი ტიპის არმია, რომელიც სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ხალხთან, საზრდოობს სოციალისტური წყობილების ძაცცხლებელი წყაროთი და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის იდეებით. იგი იშვა და განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, გამოიწრთო სამოქალაქო ომის ქარცეცხლში.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებამ გაბატონა საერთაშორისო იმპერიალიზმი და მინაგანი კონტრრევოლუციანი, რომლებმაც თოთხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფოს ლაშქარი გამოიყენეს ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ოქტომბრის სამშობლოს ცაზე საბჭოშრომის შაჯერულები ჩამოწვა: იგი ფრონტების ტეცსლოვან რკალში აღმოჩნდა.

პარტიისა და პირადად ვ. ი. ლენინის ინიციატივით სახალხო კომისართა საბჭომ ხალხს მიმართა დეკრეტ-მოწოდებით: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“. მოუწოდა მშრომელებს აღმდგარიყვნენ რესპუბლიკის დასაცავად. ეს იყო 1918 წლის 21 თებერვალი, როცა კაიზერის გერმანიამ შეტევა წამოიწყო მთავარი

გენერალ-პოლკოვნიკი
პ. ვ. მელნიკოვი,
ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

◆

მიმართულებით და უშუალოდ ემუქრებოდა პეტროგრადსა და ქვეყნის სხვა უმნიშვნელოვანეს ცენტრებს. საბჭოთის რესპუბლიკის დამცველები კი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში გაერთიანდნენ, გამსტკიცებული იყვნენ რევოლუციური სულისკვეთებითა და ალაფს მატებდა საერთო საქმის სიმართლის რწმენა, ფსკოვისა და ნარვის მახსადგომებთან შემმუსვრელი დარტყმები აგემეს გერმანელთა ჯარებს. გერმანელი დამპყრობლებზე პირველ გამარჯვებათა აღსანიშნავად 23 თებერვალი ყოველწლიურად აღინიშნება როგორც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

ასე გაჩნდა ისტორიაში პირველად ექსპლოატატორული სახელმწიფოების ყველა სამხედრო ორგანიზაციისაგან ძირფესვიანად განსხვავებული სოციალისტური სახელმწიფოს არმია — სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნამდვილი სახალხო არმია, უძლეველი და უშრეტი მორალურ-პოლიტიკური და სულიერი ძალების არმია.

სამოქალაქო ომის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს მე-11 არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა, ასტრახანის ტრამალებიდან სომხეთის მთებამდე, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე მთელი გზა მათ გამოიარეს შეუპოვარი ბრძოლებით, რათა ძმური დახმარების ხელი გამოეწვდინათ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებისათვის! საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ თვალნათლივ ვრწმუნდებით და ღირსეულად ვაფასებთ იმ დიდ გარდაქმნებს, განვლილი ათწლეულების მანძილზე რომ მოხდა ადგილებში. სადაც ომობდნენ გმირული მე-11 არმიის — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სახელოვანი წინამორბედის მებრძოლები, და ვხედავთ, რა თავდადებით შრომობენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები.

გადიოდა წლები... კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი, წარმბატები რომ ასრულებდნენ სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ გეგმას, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა წითელი არმია ექციათ ძალად, რომელიც შეძლებდა საიმედოდ დაეცვა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები.

საბჭოთა ადამიანებს მშვიდობიანი შრომა შეაწყვეტინა გერმანელ ფაშისტთა ურდოების მუსანათურმა თავდასხმამ ჩვენს ქვეყანაზე. იმ ქმრისხანე წლებში კომუნისტურმა პარტიამ გაჩაღა ტიტანური სამხედრო-ორგანიზაციული, სამხედრო-სამეურნეო და დიეურ-პოლიტიკური მუშაობა ხალხის მთელი ძალების დარაზმვისათვის მტრის მოსაგერებლად, გადაქცია ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად ისევე როგორც სამოქალაქო ომისა და უცნაურთის სამხედრო ინტერვენციის წლებში, იგი გამოდიოდა მებრძოლ პარტიად.

დიდი სამამულო ომი — საერთაშორისო იმპერიალიზმის დამრტყმელ ძალებთან სოციალიზმის ეს ყველაზე დიდი სამხედრო შეტაკება, ყველაზე მძიმე და ყველაზე სასტიკი ომია ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. ამ ომმა, რომელიც მკაცრი გამოდგა იყო საბჭოთა კავშირის სიმტკიცისა, მსოფლიო იმპერიალიზმს გადაუწურა მთელი იმედი, რომ შეასუსტებდა და დაშლიდა მრავალეროვან სახელმწიფოს, ბაღორძინებდა ეროვნულ შუღლს. მომმე ხალხები ერთად აღსდგნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, არ იშურებდნენ ძალ-ღონესა და სიცოცხლესაც კი ფაშიზმზე საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად.

ეაფაცობისა და შეუპოვრობის უბადლო მაგალითი უჩვენეს მთელ მსოფლიოს ბრესტის ციხე-სიმაგრის, პერეკოპის, ტალინის, მოგილიოვის, ლენინგრადის, კიევის, ოდესის, სევასტოპოლის დამცველებმა.

მოსკოვის მისადგომებთან ფაშისტთა ჯარების დიდმა დამარცხებამ, ომტლმაც საბოლოოდ დაასამარა „ელვისებური“ ომის ჰიტლერისეული

(დასასრული მე-3 გვ.).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პრაღაში ჩავიდა

პრაღა, 22 თებერვალი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მოწვევით დღეს პრაღაში ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა თვითერელის გამარჯვების 25 წლისთავის ზეიმში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი.** პრაღის მთავარ ვაგზალში საპატიო საბჭოთა სტუმარს დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **გ. ჰუსაკი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლ. სვობოდა**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ლ. შტროუგალი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარე **ა. ინდრა**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

დამხვდურთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში **ს. ვ. ჩერვონენკო**, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლები.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად

საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან, ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებთან ერთად საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს შუამავი საბჭოთა შეიარაღებული ძალების 55 წლისთავი. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის - მიეძღვნა საქართველოს დიდებულების პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც 22 თებერვალს ჯიბამართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა წარჩინებული ადამიანები. მეცნიერები, ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, სერჟანტები, ოფიცრები და გენერლები.

პრეზიდიუმში იყვნენ ბ. ბ. ბაბაიანი, ა. ბ. ბილავერი, ა. ნ. ინაური, შ. ფ. ყიკნაძე, ა. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. ჭაკარიძე, ბ. ბ. სირაძე, ფ. ა. შუბარდნაძე, ა. ნ. ნურაბინი, ბ. ხ. ძოწენიძე, ბ. ფ. ჯაბავიანი, ფ. ბ. ჩერეკეზა, ფ. ი. ფოსვიანი, ა. ი. პაპიავიანი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა, ოლქის შტაბისა და პოლიტ-სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა. ელჩს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ პიმნების საზეიმო მელოდია.

დამსწრეთა დიდი ადგილობით ორჩვენ სალამო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

მოხსენება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ვ. მელნიკოვმა.

დასასრულ ჯიბამართა დიდი ხაზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სიმღერისა და ეკვანის ანსამბლი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და ქალაქის თეატრალური კოლექტივების მსახიობები. (საინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის შვეიცარიაში ვიზიტის გამო

შვეიცარიის მთავრობის მიწვევის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. **კოსიგინი** მიმდინარე წლის აპრილის დამდეგს ოფიციალური ვიზიტით ჩავა შვეიცარიაში. (საკადესი).

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა

22 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ. ბადრუსი მისი თხოვნით.

გაიმართა საუბარი, რომელშიც განხილულ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკადესი).

22 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნ. ბარსაა პელაზსი საბჭოთა კავშირიდან მისი მომავალი გამგზავრების გამო. გაიმართა საუბარი, რომელშიც განხილულ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკადესი).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 55

1973 წლის 23 თებერვალი ქ. მოსკოვი

ამხანაგებო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

ამხანაგო თადარიგისა და გადამდგარო არმიის და ფლოტის ვეტერანებო!

დღეს ჩვენი ხალხი და მისი მეომრები საზეიმოდ აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55 წლისთავს.

საბჭოების ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ემორული საბრძოლო გზა გამოიარეს. ისინი უანგაროდ ემსახურებიან სოციალისტურ სამშობლოს, კომუნიზმის დიდ საქმეს.

ხამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში ახალგაზრდა წითელმა არმიამ ღირსეულად გაუძღო პირველ მკაცრ გასაცდელს. შეიარაღებული ძალები უკვნობი დიდების შარავანდედით შეიმოსნენ დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე. ახლა ისინი ფხიზლად დგანან მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სადარაჯოზე, მშვიდობისა და სოციალიზმის სადარაჯოზე.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორმოცდამეთხუთმეტე წლისთავს ჩვენი ქვეყნის მშრომელები ეგებებიან საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი ამაღაღობის ვითარებაში. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია ერთხმელად ამორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამოცანებს, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდამეათე წლისთავის შესახებ“, თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის მუსაზე, გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის ნახევარი საუკუნის განვითარების შედეგებმა, უდიდესმა წარმატებებმა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებაში მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყვეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვება, სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ცხოველმყოფელი ძალა, მათი მონოლითური ერთიანობა და მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო.

მტკიცედ და თანმიმდევრულად ხორციელდება მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის პროგრამა, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ შეიმუშავა. სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცადინეობით ამ ბოლო დროს განხორციელდა მთელი რიგი დიფერენციებული ღონისძიებანი იმ პრობლემების მოსაწესრიგებლად, რომლებიც მემკვიდრეობად გვქონდა მეორე მსოფლიო ომისაგან. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პოლიტიკური კლიმატი ევროპაში. ეიტნაშული ხალხის სამარადისო საქმის „გამარჯვება, დედამიწაზე ომის ერთ-ერთი ყველაზე საშიში კერის ლიკვიდაცია სოციალიზმისა და მშვიდობის ძალების ძლიერების მეოთხე დადასტურებაა, ქმნის ახალ შესაძლებლობებს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის.

მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ გავლენიან წრეებს იმპერიალიზმის ბანაკში ხელი არ აუღიათ „ძალის პოზიციიდან“ პოლიტიკის განსხოვრებელ ცდებზე, განაგრძობენ მათ მიერ გაჩაღებულ გამაღიტენ ომებს, განმტკიცებენ ავრესიულ სამხედრო ბლოკებს. ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ არის ომის საშიშროების სხვა კერები, და უწინარეს ყოვლისა ახლო აღმოსავლეთში.

ამ პირობებში საბჭოთა ხალხი უაღრესად ფხიზლად ადევნებს ზურგს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის.

არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობა დიდი ენერგიით შრომობს მიმდინარე წლის რიგული და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის. ჯარებში მიმდინარეობს დაძაბული საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, გაიშალა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება იარაღის და სამხედრო ტექნიკის საუკეთესო ცოდნისა და მოვლა-შენახვისათვის და ამ იარაღის ოსტატური ფლობისათვის.

სამშობლოს, თავიანთი ხალხის, დიადი ლენინური პარტიის უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა მეომრები პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებენ მხედრულ ვალს, განმტკიცებენ საბრძოლო სოლიდარობას მოძმე სოციალისტური ქვეყნების არმიებთან და ყოველ წუთს მზად არიან დაიცვან სოციალიზმის მოსახოვარნი.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო თადარიგისა და გადამდგარო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55-ე წლისთავს. ვუსურვებ შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში, ჯარების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55 წლისთავის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 23 თებერვალს, 20 საათზე ადგილობრივი დროით მრეწყოს სალუტსასროული ფოიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესასა და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი

ა. გრეჩკო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ხუთწლედის გადამწყვეტ წელს — თავდადებული დამკვრელური შრომა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნების, სამინისტროებისა, უწყებებისა და მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების მიერ 1973 წლის იანვრის სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ჯაფარიძემ. საინფორმაციო მოხსენებანი გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ გააკეთეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ჯუსოევმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. გრიგალაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიონის პირველმა მდივანმა ვ. ლორაგორაბანმა, საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიონის პირველმა მდივანმა ბ. კუბიანიძემ, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიონის პირველმა მდივანმა შ. ვერულაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიონის პირველმა მდივანმა ხ. პეტროსიანმა, საქმთავარენერგოს უფროსმა უ. ცქვიტინიძემ, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ო. ლოლაშვილმა, მშენებლობის მინისტრმა გ. ვაშაკიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. როველიაშვილმა, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა მ. მეგრელიშვილმა, საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა მ. ლეონიძემ, „საქსოფქიმის“ ფირმის დირექტორმა ნ. ავალიანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბარსამ.

აღინიშნა: იმის შედეგად, რომ ამ ბოლო დროს განხორციელდა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, გეგმების შესრულებისათვის ხელმძღვანელთა და შრომის კოლექტივთა პასუხისმგებლობის ამაღლების, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის ღონისძიებანი, გარკვეულად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალეული დარგების ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლები.

იანვარში რესპუბლიკის მრეწველობამ რეალიზაციის გეგმა შეასრულა 102,4 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა — 102,6 პროცენტით. გასული წლის იანვართან შედარებით რეალიზაციის ზრდის ტემპმა შეადგინა 11,8 პროცენტი, საერთო პროდუქციის გამოშვებისამ — 18,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 18,6 პროცენტით, ამასთან შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია ამრეწველო პროდუქციის მატების 98,4 პროცენტი. მთლიანად და გადაბარებით შეხრულდა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმა.

გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მაღალი წარმატებანი მოიპოვეს ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებმა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, ბათუმის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანამ და სხვებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა საწარმომ, კერძოდ, რუხთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ „ელვამ“, ქუთაისის ბამბის საკსოვმა საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის № 3 მექანიკურმა ქარხანამ და სხვებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ჩამორჩებოდნენ, შეძლეს გადალახონ ხიბლეული და აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა პირველად ამ ბოლო წლების მანძილზე მთლიანად შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები იანვარში ემზადებოდნენ საგაზაფხულო თესვისათვის, ავსებდნენ და წმენდდნენ თესლეს მასალას, არეკონტროლებდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ინვენტარს, ასრულებდნენ აგრეთვე სხვა სამუშაოებს. გასული წლის იანვართან შედარებით რესპუბლიკაში გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მოცულობა, რომელთა სახელმწიფო შესყიდვა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

იანვარში საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის ამოქმედების პირველი კვარტალის გეგმა ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე შესრულდა 72 პროცენტით. გაიზარდა მოსახლეობის მომსახურების სფეროში სამუშაოთა მოცულობა. გასული წლის იანვართან შედარებით საცალო ხაჭონლმბრუნვა გადიდდა 12 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა — 17,4 პროცენტით.

ამასთან ერთად სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის მუშაობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია. მრეწველობის 159 საწარმომ, ანუ საერთო რაოდენობის 15,3 პროცენტმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შებრულება დაიკლო 8,8 მილიონი მანეთი. არ შეუხრულებიათ პროდუქციის რეალიზაციის გეგმები ზაშენ მასალათა მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს, აგრეთვე ფირმა „საქსოფქიმს“, ცხინვალის ქარხანა „ელექტროგამზომელქანები“, თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის და ქუთაისის ლითოფონის ქარხნებს, გორის ბამბეულის კომბინატს, ბათუმის ხამეერვალო საწარმოო გაერთიანებას, თელავის წინდის ფაბრიკას და სხვებს. იმის გამო, რომ ფონდფლობელებმა ანგარიში დროზე არ გაანალიზეს, რუსთავის ცემენტის ქარხანაში დაგროვდა დიდძალი გაუსაღებელი პროდუქცია.

იანვარში ვერ უზრუნველყვეს საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა, ტრესტმა „ინფმშენმა“, აგრეთვე ზესტაფონის ფერომენტალნობთა ქარხანამ, წნორის მექანიკურმა ქარხანამ, ფოთის მიდრომექანიზაციის მანქანათსამშენებლო ქარხანამ, ჭიათურის საშენ მასალათა კომბინატმა, თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟმა“, თელავის სამკერვალო ფაბრიკამ, სოხუმის რძის ქარხანამ და სხვებმა.

იანვარში დაშვებულია ხერხიზული ჩამორჩენა კაპიტალურ მშენებლობაში. საინვესტიციო სამუშაოთა გეგმა შესრულდა 88 პროცენტით, აქედან მშენებლობის სამინისტროამ შეასრულა 91 პროცენტით, სასოფლო მშენებლობისამ — 74 პროცენტით, წყალთა მეურნეობისა და მელიორაციისამ — 71 პროცენტით, ტრესტმა „საქმიდროენერგომშენმა“ — 86 პროცენტით, ენერგეტიკის მშენებლობის სამმართველომ — 94 პროცენტით. მნიშვნელოვნად ჩამორჩენენ ობიექტების მშენებლობის გეგმებში საბჭოთა მეურნეობების, ხოფლის მეურნეობის, გაზთლების, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა სამინისტროები.

ბევრი ნაკლია რესპუბლიკის ხოფლის მეურნეობაში. მთელ რიგ რაიონებში. მათ შორის ბოგდანოვკის, ხილავლის, თეთრი წყაროს, გაგრის, ახალქალაქის რაიონებში იკლო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონემ. შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხულადობა ასპინძის, ჭარელის, კასპის, წალკის და სხვა რაიონებში. პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შეხრულებაში ჩამორჩენენ ადგილის, დუშეთისა და ზუგდიდის რაიონების მეურნეობანი. ცალეული რაიონებში ნელა მიმდინარეობს მზადება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. თელავ აკლიათ ახალციხის, მცხეთისა და ლმანისის რაიონების, ხამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ტრაქტორების რემონტში ჩამორჩება მარნეულის, საგარეჯოს, ორჯონიკიძის და ზოგიერთი სხვა რაიონი.

ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები და სპეციალისტები არ უზრუნველყოფენ ახეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის ჯეროვან ხელმძღვანელობას, როგორიც არის მეცხოველეობა, არ მიმართავენ ქმედით ზომებს ხერხოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით საკვების ბაზის განსამტკიცებლად. პირუტყვის მოვლა-პატრონობის პროგრესული მეთოდების დანერგვაკად და სხვ.

იანვარში არ შეუხრულებიათ გეგმები მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით ამერიკაკავკასიის რკინიგზის, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს და, განსაკუთრებით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივებს.

ცალკეული შრომითი კოლექტივების მიერ სახელმწიფო დავალებათა შეუსრულებლობა უმთავრესად წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის ხარვეზებით აიხსნება. სახალხო მეურნეობის დარგების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია შრომის დაბალი ნაყოფიერება, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შეუსრულებლობა. ზოგიერთი საწარმოს ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ რესპუბლიკის მთავარმომარაგებამ არ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის შეუფერებელი მომარაგება ზოგი სახეობის ნედლეულითა და მასალებით.

თთბერზე საქართველოს კომპარტიის ხაოლქო, ხალქალაქო კომიტეტებისა და რაიონების უყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა განიხილონ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მომსახურების ხფეროს თვითეული საწარმოსა და ორგანიზაციის, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები, განახორციელონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად, მინდობილი სამუშაო უბნისათვის ხელმძღვანელი კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ აამაღლონ ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის დონე, შ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲧᲕᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲒᲘᲠᲔᲗᲔ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲗ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ



ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 25 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲞᲠᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲒᲐᲙᲔᲑᲘ

თებერვლის ქარი აფრიალებს პრაღის ქუჩებში და მოედნებზე სამფეროვან ეროვნულ და წითელ პარტიულ ალმებს, არხევს ტრანსპარანტებს, რომლებიც ადიდებენ რეაქციის ძალებზე რესპუბლიკის მშრომელი ხალხის თებერვლის გამარჯვებას 25 წლისთავს.

საღამოსასწაულო განწყობილება იგრძნობა დღეს მთელ პრაღაში— ქალაქის საზეიმო სამოსელში, გზებთის კიოსკების ვიტრინებში — აქ გამოწყობილია საზეიმოდ გაფორმებული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ამუქებენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას, სადაც მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

დღეანდელი გაზეთები ყველაზე თვალსაჩინო ადგილს აქცევენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს პრაღაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამომგზავრების შესახებ. რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა ოლკომი, პარტიული და სახელმწიფო მუშაკებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ახლადდაწესებული „ძმეობისა თებერვლის ორდენი", ოქროვანი ფრთიანი ბორბალი და წითელი ვარსკვლავის ორდენი. დაჯილდოებულთა შორის არიან საწარმოო გაერთიანება „ჩეკდა-ენერგეტიკული" და ბრატისლავის ნავთობგადასამუშავებელი კომბინატის „სლოვნაფთის", კოშიცეს ალმასავლეთ სლოვაკიის მეტალურგიული კომბინატის, ჩრდილოეთ ჩეხიის მურა ნახშირის აუზისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

ჯილდოების გადაცემის ცერემონიაზე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელებს ყველა საფუძველი აქვთ ოპტიმისტურად შეხედონენ მომავალს, ამასთან მოიხსენიე რესპუბლიკის წინაშე მდგომი სიძნელეებიც. „ჩვენი ოპტიმიზმი მით უფრო გამართლებულია, — თქვა ლ. შტროუგალმა, — რომ ჩვენ სოციალიზმს მარტონი როდი ვაშენებთ. ჩვენ განუყოფელი ნაწილი გართ მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობისა, რომელიც ღონიერდება და მტკიცდება. და რომლის მთავარი და გადამწყვეტი ძალაა დიადი საბჭოთა კავშირი".

„ძლევამოსილი თებერვლის ორდენით" დაჯილდოებულთა შორის არიან სახალხო მილიციის რაზმები და მებრძოლნი. თებერვლის წლისთავი ნამდვილი დღესასწაულია სახალხო მილიციისა, რომლის პირველი რაზმები 1948 ბერძლის ისტორიული გამარჯვება.

შუადღისას კ. გოტვალდის საფლავი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა შეამკეს ყვავილის გვირგვინებით. ჩეხოსლოვაკიელი ხალხის დიადი შვილის, ლენინელი კომუნისტის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი.

დღეს პანთეონში მოსულებს მკერდზე უბრწყინავთ ძლევამოსილი თებერვლის 25 წლისთავის აღსანიშნავი სამახსოვრო მედლები. პარტიის ვეტერანები და ახალგაზრდა კომუნისტები, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწენი და მუშები გოტვალდთან მივიდნენ, რათა მისთვის ეთქვათ:

პატრია, რესპუბლიკა სწორ გზას ადგანან!

• • •

სადღესასწაულო პრაღა... მთელ ქალაქის საყვავილე კიოსკებში გამყიდველებს გამოუწყვიათ წითელთეთრალურიანი ვაზები — ჩეხოსლოვაკიაში ხომ არც ერთი რევოლუციური დღესასწაულის ზეიმობა არ იმართება უმიხიაოდ. მეგობრებმა ამ საზეიმო დღეებისთვის მოამზადეს ათასობით ეს ლამაზი ყვავილი, რომელიც მშრომელი ხალხის რევოლუციური გამარჯვებისა და მონაპოვრის სიმბოლოა.

ლ. ლატიშევი,
ბ. ᲙᲐᲠᲐᲔᲕᲘᲩᲘ.
ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲞᲠᲐᲦᲐ, 22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სახელოვან თარიღს აღნიშნავს აწ დღეებში ჩეხოსლოვაკიის ხალხი. 25 წლის წინათ — 1948 წლის თებერვალში — ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა ყველა მშრომელთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩაფუშა შინაური და გარეშე რეაქციის გეგმები, რომელიც ცდილობდა დაემხო სახალხოდემოკრატიული წყობილება, დაერღვია კავშირი და მეგობრობა სსრ კავშირთან. ამ ისტორიულმა გამარჯვებამ ჩეხოსლოვაკიას დაუსახა სოციალიზმის გზა.

21 თებერვალს მოსკოვში ჯაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, რომელიც მიეძღვნა მომძე ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი და სხვები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ფ. დემენტიევამ.

თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ა. ბულგაკოვმა ხაზი გაუსვა, რომ 1948 წლის თებერვალი შემობრუნების მომენტი გახდა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ურთიერთობის განვითარების ისტორიაში. 1948 წლის თებერვლის დღეების შემდეგ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას ახალი შინაარსი მიეცა, მან გაიარა დროის გამოცდა, და იმპერიალისტური ძალების ყველა ცდა დაარღვიონ იგი, განწირულია ჩაიშალოს.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობა, განაცხადა ორატორმა, ჩვენი ხალხების ღრმადო რევოლუციური მონაპოვარია. ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მათ წინსვლაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

მხურვალედ მიულოცა დღესასწაული ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს კომუნისტური შრომის დამკვრელმა, კოიკოვის სახელობის თუჯსაამსხმელო ქარხნის მეფალიბემ ა. ა. დეგიატოვმა.

შემდეგ გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის დრამებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში. ზდენეკ ხვბენი.

1948 წლის თებერვალში, აღნიშნა ზდენეკ ხვბენმა, რეაქცია იმიტომ დამარცხდა, რომ ძნელ დროს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გვერდით იყო ერთგული კლასობრივი მეგობარი — საბჭოთა კავშირი, რომლის თანამიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა ჩვენი ეროვნული არსებობის, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და შემდგომი წარმატებითი სოციალისტური განვითარების მთავარი გარანტია იყო. ამრიგად ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის თებერვლის გამარჯვებამ რეაქციაზე საბოლოოდ განსაზღვრა აგრეთვე ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაცია, რომლის საფუძველი იყო, არის და იქნება ისტორიის მიერ მრავალზის შემოწმებული უმჯიდროესი კავშირი და თანამშრომლობა სსრ კავშირთან.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲖᲝᲠᲚᲐᲓ

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ირანის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა ახალი კანონპროექტი „სოფლის მართვის" შესახებ. კანონპროექტის შესაბამისად, რომელიც მეჯლისს წარედგინება დასამტკიცებლად, ირანის 64 ათასი სოფლის მამახსნლისები უნდა აირჩიონ მცხოვრებლებმა ფარული კენჭისყრით.

წინათ, წერს გაზეთი „ოფერარან ჯორნელი", „სოფლის მამახსნლს ნიშნავდა მემამულე და მისი ნების ბრმა შემსრულებელი იყო".

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ

ᲐᲠ ᲰᲧᲝᲤᲜᲘᲗ ᲡᲐᲗᲒᲝᲒᲝ

22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ნური ოლთამანოღლუმ, რომელიც ანკარაში გამთავიდა გეოლოგთა 27-ე კონგრესის გახსნაზე, განაცხადა, რომ თურქეთი აღნიშნავს თბილადი სათბობის ნაკლებობას.

„შარშან, — თქვა მან, — ჩვენ საზღვარგარეთ ვიყიდეთ 100 მილიონი დოლარის ნავთობი. თუ არ აღმოვაჩენთ ნავთობის ახალ საბადოებს ჩვენს ქვეყანაში, 1980 წელს ნავთობის საზღვარგარეთ შესასყიდად დაგვჭირდება 250 მილიონი დოლარი".

კოდამანოღლუმ თქვა, რომ მომავალში მთავარი ყურადღება დაეთმობა ქვანახშირისა და მურა ქვანახშირის, ურანის მაღნის ბუნებრივი გაზის და სხვათა მარაგის ძიებას თურქეთში.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓᲔ

● **ᲡᲐᲛᲨᲐᲒᲐᲗᲘᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ** მილიონამდე მცხოვრები დარჩა უსინათლოდ „კონხოლიდეიტედ ედისონ კომპანის" კომპანიის ხამ ელექტროქვესადგურში მომხდარი ავარიის შედეგად. ბრუკლინისა და სტეიტენაილენდის მოსახლეობა იძულებული გახდა სასწრაფოდ შეეძინა სანთლები და ნავთის ლამპები. ბრუკლინის ღარიბთა უბნებში ბევრი ხახლი არ გაუთბიათ.

● **ᲞᲔᲠᲣᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ** მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა კოკისპირულმა წვიმებმა. დატბორილია ნათესები, ბევრი დასახლებული პუნქტი მოწყვეტილია გარე სამყაროს. პერუს მთავრობა ხასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებს წლევანდელი არაჩვეულებრივად ძლიერი წვიმების შედეგების ლიკვიდაციისათვის.

● **ᲛᲐᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲨᲘ** დაგაპატიმრეს სამი ამერიკელი ჯარისკაცი. მათ ბრალად ედებათ ის, რომ თავს დაესხნენ 20 წლის გერმანელს, სასტიკად სცემეს და გაძარცვეს იგი.

● **ᲐᲓᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲗ** ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესის მცხოვრებები გაოგვიძა მოულოდნელმა მიწისძვრამ. ძლიერი ბიძგები იგრძნობოდა ლოს-ანჯელესის საგრაფოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც ასობით კილომეტრზეა გადაჭიმული. ზოგიერთ რაიონში დაირღვა სატელეფონო კავშირი, ბევრ შენობაში ჩაიმსხვრა მინები, აქა-იქ აღინიშნება უფრო ხერიოზული ნგრევა.

● **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲝᲑᲐᲛᲐᲜᲐᲓᲒᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ** „ფ-111" მაერში აფეთქდა ტაილანდის ტაკლის ავიაბაზიდან აფრენის შემდეგ. თვითმფრინავი ლაოსის ტერიტორიის დახმობამდე მიეშურებოდა. აფეთქების მიზეზი უცნობია.

● **ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲘᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲘᲢᲝ ᲒᲔᲛᲘ** „ბომბეი-მარი" დაეჯახა ბირმის სამგზავრო ბორანს მდინარე რანგუნზე. ბორანი ჩაიძირა. წინასწარი მონაცემებით 200 მგზავრიდან მხოლოდ 40 კაცის გადარჩენა.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ. 22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). რეაქციული ოპოზიცია ჩილეს პარლამენტში ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს ჩაფუშოს მშრომელთა ხელფასის მომატების შესახებ სახალხო ერთიანობის მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტის განხილვა.

დეპუტატთა პალატების კომისიებში ოპოზიციურმა უმრავლესობამ უარყო მთავრობის ჟოთხოვნა კანონპროექტის გამო კენჭისყრის სასწრაფო მოწყობის შესახებ. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება დეპუტატთა პალატის სხდომაზე.

როგორც მემარცხენე პრესა წერს, ოპოზიცია ცდილობს გააჭიანუროს კანონპროექტის განხილვა პარლამენტის მარტის არჩევნების შემდგომ პერიოდისათვის, რათა ამომრჩეველთა მასები არ მოიმდურეს კანონპროექტის მიღებამდე დაუყოვნებლივი უარით.

კანონპროექტის დაფინანსებას მთავრობა აპირებს მსესვილი სახლთმფლობელების გადასახადებისა და ფუფუნების საგნების იმპორტზე ბაჟის გადიდების გზით.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲠᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა ფ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ გაათავისუფლა პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმმა პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ვ. ნ. ᲔᲜᲣᲫᲔ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Ვ. ᲗᲐᲛᲐᲫᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲧᲔᲑᲐ: ამერიკის საქმიანი წრეების ცნობილმა წარმომადგენელმა არმანდ ჰამერმა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან, და ეროვნული სამხატვრო გალერეის დირექტორმა კ. ბრაუნმა პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ 31 მარტიდან 29 აპრილამდე ვაშინგტონის ეროვნულ სამხატვრო გალერეაში ეწყობინერებული იქნება მდიდარი გამოფენა დასავლელი მხატვრებისა ლენინგრადის ერმიტაჟიდან და მოსკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმიდან.

შეერთებულ შტატებში პირველად უჩვენებენ კოლექციას, რომელშიც შედის სეზანის, გოგენის, მატისის, ვან-გოგის, პიკასოს, მონეს, რენუარისა და სხვათა ნაწარმოებები. როგორც გამოფენის ორგანიზატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხატვრო გამოფენა სხვა ქვეყნებიდან, რომელიც შეერთებულ შტატებში გამართულა.

ამ გამოფენის მოწყობაში დიდი როლი ეკუთვნის ა. ჰამერს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სასარგებლო წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის კულტურის ღირებულებათა გაცვლის განვითარებაში.

ა. ჰამერმა განაცხადა, დიდად კმაყოფილი ვარ იმით, რომ შეეძელი დახმარება გამეწია მხატვრულ გამოფენაფა ასეთი გაცვლის მოწყობისთვისო.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ რ. ᲙᲜᲘᲐᲖᲔᲕᲘ გვაცნობებს: ჩილეს პრეზიდენტი ხალვადორ ალიენდე გაემგზავრა ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში. იგი ეწვია კაუტინის პროვინციას, სადაც ცხოვრობს ჩილეს მკვიდრ მოსახლეთა — მაპუჩეს ინდიელთა შთამომავლობის ძირითადი მასა.

სამ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მაპუჩეს ინდიელები გმირულად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. მაგრამ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამლევს ქვეყნის მაშინდელმა მმართველებმა შეძლეს მთლიანად დაეპყროთ ინდიელთა ტერიტორიები. მაპუჩეს ინდიელები გარეკეს თავისი მიწა-წყლიდან.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სახალხო ერთიანობის მთავრობა, ისინი უფლებებით გაუთანაბრეს ჩილეს დანარჩენ მოქალაქეებს. სახალხო მთავრობამ თავისი მმართველობის ორი წლის მანძილზე ინდიელებს დაუბრუნა 63 ათას ჰექტარზე მეტი მიწა.

ახლა დიდი ყურადღება ეთმობა მაპუჩეს ინდიელთა სახალხო განათლებასაც, რომელთა უმრავლესობა წინათ უწიგნური იყო. პრეზიდენტმა ალიენდემ სამხრეთში მოგზაურობა დაიწყო ამით, რომ სამზეიმო ვითარებაში გახსნა მაპუჩეს ინდიელთა პროფესიული მომზადების დიდი ცენტრი ტრიანონის რაიონში. ეს სასწავლებელი, რომელიც შეიქმნა ინდიელი მოსახლეობის განვითარებაში დახმარების შესახებ სახალხო მთავრობის კანონის ინიციატივით, მოამზადებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კადრებს.

ცენტრის გახსნაზე წარმოთქმულ მოკლე სიტყვაში რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ სახალხო მთავრობას შეეძლო აღიდგინა ისტორიული სამართლიანობა და ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობის ასეთისამბით შთამომავლისათვის დაებრუნებინა ადამიანური ღირსება.

სახელმწიფოს მეთაური გამოვიდა აგრეთვე ქალაქ ლაუტარის მცხოვრებთა მიტინგზე. მისი სიტყვა მიეძღვნა ქვეყნის აქტუალურ პრობლემებს.

ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲪᲘᲔᲒ-ᲪᲮᲔᲚᲘᲡᲒᲐ"

22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). დოლარის დევალვაციამ ვერ განაკურნა კაპიტალისტური ქვეყნების სავალუტო-ფინანსური სისტემა მძიმე სენისაგან. ახლა საქმისნები და სპეკულანტები სასწრაფოდ ყიდულობენ ოქრს, რაც მიანნიათ ერთად ერთ ხსნად სულ უფრო გახშირებული და გაძნელებული კრიზისებისგან.

დასავლეთ ევროპის ყველა ბირჟაზე ოქროს ფასმა ახლა ახალ რეკორდულ სიმაღლეს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ უნციაა ოქროს ოფიციალური ფასი დოლარის დევალვაციის შედეგად 42,2 დოლარს შეადგენს, უნცია ოქროს ფასმა უკვე 77 დოლარს მიაღწია ლონდონის ბირჟაზე.

ფინანსური მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ ოქროს ფასი გამაღლებით მატყუარს ანა წლის იანვრის დამლევიდან, როცა დაიწყო საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური კრიზისი, რომელმაც კატასტროფული ხასიათი მიიღო „დოლარისაგან გაქცევის" შედეგად. ვრთ თვეში ოქროს ფასი ვაიზარდა 20 პროცენტითა და მეტად.

განსაკუთრებული „ოქროს ციებ-ცხელების" ახალი მომენტი ის არის, რომ ბირჟებზე ახლა დაძაბეულ ვითარებაში მიმდინარეობს ოქროს მასობრივი შესყიდვა, რომელებიც ფართოდ მონაწილეობენ მსხვილი საერთაშორისო მონოპოლიები, აგრეთვე, როგორც ფრანს პრესის საგანგებო იუწყება, „ახლო აღმოსავლეთის ნავთობის მაგნატები და შორეული აღმოსავლეთის ფინანსისტები".

ᲜᲘᲙᲐᲠᲐ�გᲣᲐᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

ᲖᲔᲜᲝᲑᲔᲗᲘ კვერცხის ნაჭუჭებივით სკდებოდნენ, თეძლის დანამბამებში ქვების ბრუვებად იქცეოდნენ და ცოცხლად მარხავდნენ თავის ქვეშ ამ შენობების ბინადართ. მიწა ფექვეშ ისე დაიიოლა, როგორც გემბანი ძლიერი ქარიშხლის დროს, რამდენიმე წამში ყველაფერი დამთავრებული იყო. ქალაქი ისე გამოიყურებოდა, როგორც მაღირებული დაბომბვის შემდეგ — ცეცხლის ალები, ნანგრევები, შიშისგან შეცვლილი სახეები. ისე აღწერენ მომსწრენი მიწისძვრას, რომელიც ახალი წლის წინ დაატყდა თავს ცენტრალური ამერიკის პატარა სახელმწიფო ნიკარაგუას.

სახელმწიფოს დედაქალაქი მანაგუა (მოსახლეობა 398 ათასი) სულ რაღაც რამდენიმე წუთის განმავლობაში აკვამლებულ ნანგრევებად იქცა.

ცნობები ტრაგედიის შესახებ მთელ მსოფლიოს მოედო. ნიკარაგუას დახმარების ხელი გაუწოდეს ჯერ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა, შემდეგ კი სხვა სახელმწიფოებმა. მანაგუას საერთაშორისო აეროპორტში გახუწყვეტლივ მოდიოდნენ უცხოური თვითმფრინავები. თითქოსდა დახმარება დროზე მოვიდა, თითქოსდა დაჭრილებსა და დასახიჩრებულთა მოთავსებენ საველე ჰოსპიტლებში, თავიდან აცილებული იქნება შიმშილი... მაგრამ მოულოდნელად მექსიკის და პერუს გაზეთებში გაჩნდა ცნობები, რომ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის საბაბით ანასტასიო სომოსას დიქტატორულმა რეჟიმმა გააძლიერა რეპრესიები ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ და რომ მდგომარეობა ნიკარაგუაში მწვავდება.

ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკა ნიკარაგუას 148 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს, მისი მოსახლეობა 1,98 მილიონია (1970 წლის მონაცემებით) და ძირითადად მეტისებისგან — ესპანელებისა და ადგილობრივი აბორიგენების შთამომავლებისაგან შედგება, ცხოვრობენ ზანგები, ინდიელები. მოსახლეობის 50 პროცენტი უწიგნურია. ქვეყანაში ორი უნივერსიტეტია, სახელმწიფო ენა ესპანურია, რელიგია კათოლიკური. ნიკარაგუამ დამოუკიდებლობა 1821 წელს მოიპოვა. მოქმედებს 1950 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც 1967 წელს შეიცვალა. მისი ძალით ქვეყანას მართავს 5 წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი. ეს არის სუსტად განვითარებული, აგრარული ქვეყანა, რომლის მიწების მეტი ნაწილი უცხოელი, უმთავრესად ამერიკული კომპანიებისა და ადგილობრივი მემამულეების ხელშია და სწორედ ამ ღარიბსა და ლატაკ ქვეყანას თავს დაატყდა სტიქიური უბედურება, რომლის მიერ მიყენებული ზარალი მილიარდამდე დოლარს უღრის. მაგრამ როგორც ტელეგრაფის ცნობებიდან ჩანს, ქვეყანას ემეურება ორანაკლეს დიდი უბედურება მისი დიქტატორის სახით.

როგორც მექსიკის პრესა აღნიშნავს, მიწისძვრამ უცებ გამოაცოცხლა პოლიტიკური ვნებანი ქვეყანაში, სადაც 1934 წლიდან ბატონობს სამოსას ოჯახის წარმომადგენლება. დინასტიის დამაარსებელს ანასტასიო სამოსას სპარეზიდენტო გადა გასულ წელს დაჰყარდა და მან თავისი ადგილი სამი კაცისაგან შემდგარ ხუნტას დაუთმო. თავთ გენერალი სომოსა სათაურში ჩაუდგა 10 ათასი კაცისაგან შემდგარ ეროვნულ გვარდიას.

და აი ქვეყანა მიწისძვრამ შეაბანზარა. შედეგ, ეუფრო მოგვიანებით ცნობილი გახდა მისი ზუსტი მასშტაბები. აი ისინიც — ჯაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის განყოფილების მონაცემები. ნიკარაგუას დედაქალაქ მანაგუაში დაიღუპა 10 ათასი კაცი, 20 ათასი კაცი დაშავდა, მთლიანად დაინგრა 13 კვადრატულ კილომეტრ ფართობზე მყოფი შენობები, 70 ათასი საცხოვრებელი სახლიდან 60 ათასი სიერთოდ აღარ არსებობს. 250 ათასი ადამიანი იძულებული იყო მეტოვებინა ქალაქი. ამასთან თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის რაოდენობა მიწისძვრამდე 300 ათასი იყო, ძნელი წარმოსადგენი როდია დატრიალებული ტრაგედიის მასშტაბები. მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით გამოიჩეკა, მანამდე კი დიქტატორმა სწრაფად ისარგებლა შექმნილი სიტუაციით. პირველ ყოვლისა ძალაუფლება ჩამოართვა ხუნტას და თავისი თავი დაინიშნა საგანგებო ეროვნული საბჭოს უფროსად, სწორედ ამ საბჭოს ხელში გადავიდა მთელი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება. როგორც მექსიკის პრესა იუწყება, პარლამენტში გაატარეს კანონი ეროვნული რეკონსტრუქციის სამინისტროს შექმნის შესახებ, სწორედ ამ სამინისტროს გაერთო შემოვა ქვეყანაში საერთაშორისო საზოგადოებებისათვის გამოყოფილი დახმარება მანაგუას აღდგენისათვის. ბუნებრივი, ეროვნული რეკონსტრუქციის მინისტრი შეუზღუდავ უფლებებს მიიღებს. როგორც იუწყებიან, ამ თანამდებობაზე სამოსა უმცროსი დაინიშნოს. ამ გადაწყვეტილებამ შეაშფოთა ოპოზიცია. კონსერვატორთა პარტიის 40 დეპუტატმა პროტესტის ნიშნად დატოვა პარლამენტი. ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება დაიძაბა. კოსტა-რიკის გაზეთ „რესპუბლიკა" იტყობინება: „ათასობით ნიკარაგუელი კოსტა-რიკის საზღვრებისაკენ მიემართება, რომ გადაურჩეს შიმშილსა და დიქტატორის გვარდიელთა ტერორს. ყველაფერი, რაც საზღვარგარეთიდან შემოდის დახმარების სახით, ვერ აღწევს დაზარალებულებამდე და არმიის საწყობებში უნიწყალოდ ინახება".

ᲗᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ახე გამოიყურება ახლა ნიკარაგუას დედაქალაქი მანაგუა, რომელმაც გადაიტანა თავის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრა. ნანგრევებად არის ქცეული მთელი კვარტალები (ზემოთ); მიწისძვრის შემდეგ მანაგუაში დარჩენილ მცხოვრებთა ძირითადი პრობლემა კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის უქონლობაა. აი ასეთი რიგი ამართება (ქვემოთ) წყლისათვის, რომელიც მეზობელი ქვეყნებიდან თვითმფრინავებით ჩამოაქვთ.

ᲐᲠᲣ — ᲙᲘᲡᲢᲘᲜ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲘᲡ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲒᲔᲑᲘ

სსრ კავშირის ეროვნულისტთა კავშირის გამგეობამ და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურმა პოლიტიკურმა სამმართველომ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით 1972 წლის თებერვლიდან 1973 წლის თებერვლამდე მოაწყო სრულიად საკავშირო კონკურსი რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი სამხედრო-პატრიოტული თემის სოციალისტ ბაშეკრებისათვის საბჭოთა შეიარაღებული ძალების 55 წლისთავის წინ შეჯამებულია კონკურსის შედეგები.

**სსრ კავშირის ეროვნულისტთა კავშირისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურმა პოლიტიკურ სამმართველოს პირველი პრემიები და სიგელები მიენიჭათ რესპუბლიკურ გაზეთ „სოვეტსკაია ბელორუსიას" (ბელორუსიის სსრ), საოლქო გაზეთ „რაბოჩი კრაის" (ივანოვოს ოლქი) და საქალაქო გაზეთ

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

სამშობლოს საიმედო ფარი

(დასასრული).

ჯუმა, გაჟარწყლა ყალბი ლეგენდა ფაშისტური არმიის უძლეველობის შესახებ.

1942 წლის დამლევს — 1943 წლის დამდეგს ჩვენმა არმიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა სტალინგრადთან ისტორიას აკამდე არ სმენია გამოცდილი, ძლიერი და ვერაგი მტრის ესოდენ მრავალრიცხოვანი დაჯგუფების ალყაში მოქცევისა და მოსპობის მსგავსი მაგალითი. ჰიტლერელთა ვერმახტმა ისეთი ძალის დარტყმა იწვნია, რომ სახელდახელოდ შეკოწიწებული ფაშისტური ბლოკის მთელი შენობა აზანზარდა. ვოლგაზე გამარჯვება მეორე მსოფლიო ომის უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენაა. დადგა ბრძოლამ, რომლის შედეგი იყო მტრის რჩეული დაჯგუფების ალყაში მოქცევა, შემუსვრა და ლატყვეება, დასაბამი მისცა ძირეულ გარდატეხას დიდი სამამულო ომის მსვლელობაში.

სტალინგრადის ბრძოლასთან ერთად გაიშალა კავკასიის დაცვის ბრძოლა, რომელმაც 15 თვეს გასტანა. საგმირო საქმეებით შეამკეს დიდი სამამულო ომის მატიანე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებმა. მთაში, 3.000 მეტრ და მეტ სიმაღლეზე, მარადიულ თოვლსა და მყინვარებში ლაშქრავდნენ მთავალ კალდეებს საბჭოთა ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა წელში გატეხეს, დაუძლურეს და შემუსრეს გერმანულ-ფაშისტთა 700-ათასიანი დაჯგუფება. ამ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის კავკასიის ათასობით დამცველს მიენიჭა ორდენები და მედლები, ხოლო მათ შორის 70 მეომარს მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ამიერკავკასიის მშრომელებმა ფასდაუდებელი მორალური, და მატერიალური მხარდაჭერა გაუწიეს საბჭოთა არმიის ჯარებს. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის კომენსატორა ნახევარზე მეტი სამშობლოს დამცველთა რიგებში გაერთიანდა.

1943 წლის ზაფხულში კურსკის რკალზე ჰიტლერელთა ჯარების შემუსვრამ დააგვირგვინა ომის მსვლელობის ძირეული გარდატეხა.

თავისი მასშტაბითა და სიძლიერით ჭეშმარიტად უმაგალითო იყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების 1944-1945 წლების საბოლოო ოპერაციები. მათგან ყველაზე გრანდიოზულია ბერლინის ოპერაცია, რის შედეგად მტერი საბოლოოდ გაანადგურეს თავისივე ბუნაგში. საბჭოთა არმიამ ღიდი ინტერნაციონალური გმირობა ჩაიდინა და ფაშისტური მონობისაგან გაათავისუფლა ევროპის ხალხები.

სამშობლოს შეიარაღებულ დამცველებს ვაჟკაცობაში ტოლს არ უდებდნენ ზურგის მშრომელები, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ჩვენი შესანიშნავი ქალების, ახალგაზრდობის გმირული შრომის მეოხებით საბჭოთა კავშირმა დიდი სამამულო ომის მსვლელობისას დაადასტურა ჰიტლერულ გერმანიას ძირითად სახეობათა იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის წარმოებით. ამ შრომით ბედდა ჩვენი ზურგი მტერზე გამარჯვებას.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ საბჭოეთი, რომელიც თავისი შორეული აღმოსავლეთის საზღვრების ხელშეუვალობას იცავდა და სამოკავშირეო მოვალეობებს ან ღალატობდა. ჩაება მილიტარისტულ იაპონიასთან ომში. შედარებით მოკლე ხანში საბჭოთა ჯარებმა შემუსრეს კვანტუნის მილიონიანი არმია და გადამწყვეტი დახმარება აღმოუჩინა ჩინეთის, კორეისა და ვიეტნამის რევოლუციურ ძალებს მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ბაზდა ყველაზე ნათელი და დამჯერებელი დადასტურება სოციალიზმის, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ცხოველმყოფელობისა.

კაპიტალისტური სამყაროს უძლიერესი არმიების განადგურებამ თვალნათლივ ცხადყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების, მათი ორგანიზაციისა და შეიარაღების, მეთაურთა კადრების მომზადების სისტემის, სამხედრო მეცნიერებისა და საბრძოლო მოქმედების წარმოების ხელოვნების უპირატესობა.

მეორე მსოფლიო ომში მკაფიოდ გამოვლინდა სხვადასხვა ეროვნების მეომართა მონოლითური მეგობრობა. რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, თურქმენები, სომხები, ყაზახები, აზერბაიჯანელები, სსრ კავშირის ბევრი სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები თავდაუზოგავად იბრძოდნენ სამშობლოსათვის. მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა გახდა საბჭოთა ადამიანების ვაჟკაცობის, სიმტკიცის, სულის სიდიადის სიმბოლო. მათი მასობრივი გმირობის წყარო. ყველა საბჭოთა ხალხის შვილები მამაცურად იბრძოდნენ ფრონტებზე და თავდაუზოგავად შრომობდნენ ზურგში. საქმეყნოდაა ცნობილი ისეთი გმირთა სახელები, როგორიც არიან პამფილოველები, რიგითი ჯარისკაცები ალექსანდრე მატროსოვი, იური სმირნოვი, სერჟანტი იაკობ პავლოვი, მელიტონ ქანთარია, ივანე კოჟედუბი, გენერალი დიმიტრი კარბიშევი, ზოია კოსმოდემიანსკაია, ახალგაზრდა გვარდიელები ოლეგ კოშევოი, ულიანა გრომოვა, ივანე ტურკენიჩი...

გამარჯვებაში, საძულველი მტრის განადგურებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ამიერკავკასიის მეომრებმა და მშრომელებმა, კერძოდ, საქართველომ, რომელმაც ფრონტზე გაგზავნა თავისი 600 ათასი შვილი. ათიათასობით კავკასიელი მეომარი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა. მათ შორის არიან ზემდეგი ნ. ადამია და ზითელფლოტელი გ. მამალაძე, პოლიტხელი ვ. კანკავა და პოდპოლკოვნიკი ნ. სტეფანიანი, მაიორი ა. ზურწუმია და რიგითი ჯარისკაცი უ. ალეტისიანი. გენერალ-მაიორი ა. ასლანოვი და სხვანი.

ბევრი რამ გაკეთდა ერთიან მრავალეროვან ოჯახად შეკრულმა ჩვენმა ხალხმა ომის შემდეგ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი კიდევ უფრო მრისხანე ძალად იქცნენ. ჩვენ ახლა ყველაფერი გვაქვს სოციალისტური ხამშობლოს დასაცავად: გვაკავს პარტიისა და ხალხის ერთგული ჯარისკაცები, სერჟანტები, ზემდებენი, პრაპორშჩიკები, მიჩმანები, ოფიცრები და ნაცადი მხედართმთავრები, გვაქვს მძლავრი საბრძოლო ტექნიკა, თანამედროვე იარაღი და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე გამარჯვების ლენინური მეცნიერება. საბჭოთა მეომრებს ჰყავთ საიმედო საბრძოლო მეგობრები — ვარშავის ხელშეკრულებით გაერთიანებული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეომრები. ჩვენ გვაქვს მაგარი ზურგი, რომლის საფუძველია არმია და ხალხის ერთიანობა. სსრ კავშირისა და მოკავშირე ქვეყნების მძლავრი ეკონომიური პოტენციალი.

მთელ ხალხთან და შეიარაღებულ ძალებთან ერთად ერთი აზრითა და პატრიოტული მისწრაფებით სულდგმულობენ ამ დღეებში ჩვენი ამიერკავკასიის წითელროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები — სსრ კავშირის მოსახლე 70-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ეს არის შესანიშნავი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც გამოცდილი ოფიცრების ხელმძღვანელობით სწავლობს და ეუფლება საბრძოლო გამოცდილებას, განაგრძობს მამებისა და უფროსი ძმების საქმეს, ეს არის განათლებული, ჯანმრთელი და სულიერად ძლიერი ადამიანების თაობა. როგორც წლევანდელმა ტაქტიკურმა წვრთნამ ცხადყო, ისინი გულდასმით ეუფლებიან სამშობლოს შეიარაღებული დაცვის მეცნიერებას, მაღალი მთის რთულ პირობებში გვიჩვენებენ გაწაფულობის, სიმტკიცის, მამაცობისა და ვაჟკაცობის მაგალითს. პარტიის საბრძოლო განწყობილებას ეფუძნებიან ბელორუსელ-ებიც. ბელორუსელ-მაიორი ბ. ბრეჟნევის სიტყვები, სკკპ XXIV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან საანგარიშო მოხსენებაში რომ წარმოთქვა: „ყველაფერი, რაც ხალხის მიერ არის შექმნილი, საიმედოდ უნდა დაიცვათ... და ვიდრე ამ მშფოთვარე მსოფლიოში ვცხოვრობთ, ეს ამოცანა ერთ-ერთ უმთავრესად რჩება“.

მახსენდება ლ. ი. ბრეჟნევის სხვა სიტყვებიც, თბილისში, საქართველოს სსრ ალ რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომ წარმოთქვა: „ჩვენ ყველანი, რომელ რესპუბლიკიდანაც უნდა ვცხოვრობდეთ, საბჭოთა პატრიოტები, ერთი სოციალისტური სამშობლოს შვილები ვართ. ჩვენი წმობიერი მიწა, ჩვენი მამული — ეს არის უკიდეგანო სივრცეები, რომლებიც გადაჭიმულია წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან პამირამდე და კავკასიამდე. და ყველაფერი, რაც ამ მიწაზე შეიქმნა ადამიანის ხელს, — დიდებული ქალაქები, გიგანტური სამრეწველო კომპლექსები და მდელვარე ხოდაბუნები, ელექტროსადგურების კასკადები, სულიერი კულტურის ღირებულებანი, — ყველაფერი ეს საერთო ზრუნვის შედეგია. ჩვენი საერთო კუთვნილება, საბჭოთა ხალხის კუთვნილება“.

ამიერკავკასიელი მეომრები, რომლებიც ფხიზლად დგანან საშობლოს სამხრეთი მიჯნების სადარაჯოზე, ყოველთვის მზად არიან დაიცვან ეს საერთო კუთვნილება და დღისით თუ ღამით, ყოველ დროს შეასრულონ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძანებით თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა — შემმუსვრელი დარტყმა აგემონ ყოველგვარ აგრესორს, რომელიც გაბედავს და ხელყოფს სსრ კავშირის წმიდათაწმიდა საზღვრებს.

(სპეციფორმი).

გარათი ნაწილიდან

მოსკოვის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ სამხედრო-სამშენებლო ქვეგანაყოფში მსახურობს ქობულეთელი ილია ფალავა, რომელიც მოწინავე ჯარისკაცს, მას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის სპეციალური წოდება.

მისი სამუშაო არც თუ ისე იოლი სანქმეა. მის სწორ მოქმედებაზე დამოკიდებულია საერთო სამუშაოს წარმატებით შესრულება. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ილია ფალავას, ხელი არ შეეწყოს ამხანაგებისათვის, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების კარგი ჩამბული.

ამ ბოლო დროს ილია ფალავა ... ...

რუსთავი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ზ. მერკვილაძე



მოვიდა ცვლა

მეტალურგიული ქარხნის ღუმელებთან და აგრეგატებთან ახლა ხულ ახალი და ახალი ადამიანები დგებიან. ისინი კადრის მუშებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ითვისებენ მეტალურგთა პროფესიებს.

ვინ არიან ისინი? ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ამ დღეებში ასობით ახალგაზრდა მოვიდა აქ კომკავშირული საგზურებით. ახალგაზრდებს მოეწონათ ქალაქი, მეტალურგიული ქარხანა. მათ გადაწყვიტეს თავიანთი ბედი სამუდამოდ დაუკავშირონ რუსთავს.

რუსთავი—ჩელიაბინსკი

„ავტომატმრეწვი“ — არის ასეთი საპროექტო ინსტიტუტი რუსთავში. ამ ინსტიტუტის ნამუშევრებს პრაქტიკულად იყენებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მეტალურგიულ საწარმოებში.

კარგი ურთიერთობა დამყარეს ინსტიტუტის მუშაკებმა რ. სიგუამ, რ. თევზაძემ, მ. გეგეშიძემ, ხ. ამირაგიანმა და სხვებმა ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივთან. ერთობლივი მუშაობით რუსთაველმა და ჩელიაბინსკელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს და წარმატებით განახორციელეს საინფორმაციო-გამომთვლელი კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროცესების უტყუარ მართვას.

ამ ტექნიკური სიახლით გამოწვეული ეფექტი მილიონობით მანეთს შეადგენს.

სახლები სამ-ოთხ თვეში

მეზენებლობის მთელ რიგ ინდუსტრიულ მეთოდებს ახლახან შეიმატა ეგრეთწოდებული „გაუმჯობესებული სერია“, რომლის ავტორობა ეკუთვნის „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტს. ახალი „გაუმჯობესებული სერიით“ მშენებლობისას შეიმჩნევა კომფორტის ამაღლებული დონე, დაიგმვის გადაწყვეტათა მრავალფეროვნება, კონსტრუქციების მოხდენილად გამოყენება.

საბოლოო ანგარიშით ეს სიახლე აჩქარებს მშენებლობას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამცირებს თვითღირებულებას.

მეგობროგის ნათელსაყოფად

ინტერნაციონალურ ქალაქში 40-ზე მეტი ერნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ისინი ჭართველ ძმებთან ერთად შრომობენ მეტალურგიულ, ქიმიურ და სხვა სამრეწველო საწარმოებში.

ქალაქის ფართო და ცენტრალური ქუჩები რომ „დონეცკელ მეტალურგთა“, „სუმგაითელ მეტალურგთა“, „მეგობრობის პროსპექტისა“ და სხვა ამგვარ სახელებს ატარებენ, ეს სწორედ ერთ-ერთი გამოხატულებაა ხალხთა ლენინური მეგობრობისა. ამ დღეებში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას საფუძველი ჩაეყარა ხალხთა მეგობრობის სკვერს.

თეატრალური პრემიერები...

სახელმწიფო თეატრმა მიმდინარე სეზონში დადგა და მაყურებელს უჩვენა ო. იოსელიანი პიესა „ბუნტი საბუეში“ და გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“.

თეატრმა მორიგ პრემიერად მოამზადა ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ და უ. შექსპირის „მეფე ლირი“.

ამ დღეებში ახალ სპექტაკლს კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრიც უჩვენებს — ნ. აღლაძის პიესა „ნათელ დღეს“.

ახალი ავტომაღაზია

მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში გაიხსნა ორსართულიანი ავტომაღაზია. აქ ავტონაწილების და სპორტული ინვენტარის გაყიდვასთან ერთად ხდება ავტომანქანების „ქიგულის“, „მოსკვიჩის“, „ზაპოროჟეცის“ რეალიზაციაც.

ბაბილინა ხოსიტაშვილი



გარდაიცვალა ხანგრძლივი ხანის მწერალი ბაბილინა ხოსიტაშვილი-კურდღელაშვილი. იგი დაიბადა 1884 წელს ბოდბისხევში (სიღნაღის რაიონი). 1902 წელს თბილისში ჩამოდის და თავის ძმის პოეტ ირაოდიონ ეკეოშვილის დახმარებით და ხელმძღვანელობით ლიტერატურად ეგმეტა იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წელს ბ. ხოსიტაშვილი ისოთამწყობად იწყებს მუშაობას ესაძეების სტამბაში, შემდეგ გადადის მთაწმინდის არალეგალურ სტამბაში, სადაც ამხანაგ იბეჭდებოდა პარტიული ლიტერატურა (ივლაბრის არალეგალური სტამბის დარბევის შემდეგ). 1908-1909 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით მოწყობილ თბილისის საკვირაო სკოლებში, რომელებსაც ზრუნავს არ აკლებდნენ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი და მარიამ დიმორია. მომდევნო წლებში თანამშრომლობს ჟურნალ „ჭეშმარიტებაში“ — „ქალაქელ“ რედაქციაში.

ბაბილინა ხოსიტაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რევოლუციის გარიჟრაჟზე. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა „მოშაში“ 1906 წელს. მთაწმინდის არალეგალურ სტამბაში მუშაობის დროს. აქედან დაწყებული მისი სოციალური ხასიათის ლექსები სისტემატიურად იბეჭდებოდა „ნიდერლანდელ ქალაქელ“ („ქალაქელი“, „ნაკადული“, „თეატრი და ცხოვრება“, „მუშა“, „ცნობის ფურცელი“, „ხალხი“ და სხვ.). 1956 წელს გამოიცა მისი რჩეული ლექსების კრებული, მას მოჰყვა სხვა წიგნები და ბოლოს მემუარები „მშობლიური სოფლიდან დედაქალაქამდე“.

ბაბილინა ხოსიტაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის მთარგმნელობით საქმიანობაში. მას თარგმნილი აქვს პუშკინის, ლერმონტოვის, ლესია უკრაინკას, ვიქტორ ჰიუგოს და სხვა როს და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები, რომელთაგან აოსანიშნავია ლერმონტოვის „მწირი“ და ვიქტორ ჰიუგოს „ჯაცი, რომელიც იცინის“.

ბაბილინა ხოსიტაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. დიდიან საბჭოთა ხელისუფლების ომყარებისა — იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი.

წაიკითა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, ჯალმართალი მწერალი და ჩემი, ოანგარო საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სოციალური, მთელი თავისი ძალლონე მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის ებრძოლას შეალია.

ქართველი მწერლები, ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებენ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

სოფელმა დაგვო

ქოლმეურნეობიდან გარიცხეს, ბრიგადირი მოსხნეს!

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათს თვრამეტი სოციალისტური შრომის ჯილდო ჰყავს, ასეულობით ადამიანმა თავდადებული შრომით შორს გაითქვა სახელი. მათი გარჯის ნაყოფია, რომ სოფელმა ზღაპრულად იცვალა სახე, საითაც გიიხედავთ, ყველგან მათი სიმდიდრის წყაროა — ჩაის პლანტაციები და ციტრუსის ბაღებია გადაშლილი.

ბობოყვათელები პირველები გამოეხმაურნენ ხუცუბნელთა თაოსნობას ყველგან სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების შესახებ, კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ვალდებულებებიც აიღეს, მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მხრივ სიტყვა მთლიანად ვერ შესრულეს, გაღლენა ვერ მოახდინეს სოფლის ყველა მცხოვრებზე.

ქალაქ ერევანში, საკოლმეურნეო ბაზარზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარეიდო ბრიგადა წაიწყდა ბობოყვათელ ილია ბერიძესა და ხეიბე ნემსაძეს, რომლებიც სპეკულაციურ ფასებში ჰყიდდნენ ციტრუსს.

ვინ არის ილია ბერიძე? 1971 წლის აპრილში იგი ხულიგნური მოქმედებისათვის დასჯეს, იმავე წელს დაკავეს ქ. კუიბიშევში ციტრუსებით ვაჭრობისათვის. თანასოფლელებმა შეიბრალეს, შუამდგომლობა აღძრეს დამნაშავე ვადამდე გაეთავისუფლებინათ. ადმინისტრაციული ორგანოები დათმობაზე წავიდნენ.

სოფელში ყველა დარწმუნებული იყო, რომ ი. ბერიძე შეცდომებიდან საჭირო დასკვნას გამოიტანდა, თანასოფლელებს მხარში ამოუდგებოდა და საერთო საქმეში თავის წელილს შეიტანდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ილია შემთხვევას ელოდა მეზობლებისგან თარეული ისევ სასეიფულაციოდ წასულიყო. მას საკუთარ ბაღში მოწეული მანდარინი რომ არ ეყო, სხვასთან ეშოვა, ათასი მაქინაციით მოახერხა ხერგილს გასცლოდა, ასე ამოჰყო თავი ერევნის ბაზარზე, მაგრამ ბოლი გზით ფულის შოვნის ნაცვლად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

თანასოფლელთა სასტიკი გაკიცხვა დაიმახსოვრა ხეიბე ნემსაძემ. იმ დროს, როცა სხვა კოლმეურნე ქალები საერთო საქმეზე ფიქრობდნენ, პლანტაციებში სასუქები შეჰქონდათ, ან ოჯახში დიასახლისობდნენ, სტუმარსა და მოყვარეს ხვდებოდნენ, სოფლის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ, ხეიბე მანდარინით დატვირთულ ყუთებს მიათრევდა და ციტრუსის მამასისხლად გაყიდვაზე ოცნებობდა. შარშან მას გეგმით 3,5 ტონა ციტრუსი უნდა ჩაებარებინა შემფუთავი ქარხნისათვის. მკაცრმა ზამთარმა დაზიანა პლანტაციები, სოფელს უძნელდებოდა გეგმის შესრულება. კეთილსინდისიერმა კოლმეურნეებმა მთელი მოსავალი მიპყიდეს სახელმწიფოს. ხ. ნემსაძემ კი მთელი მოსავალი გადამალა, არცერთი კილოგრამი არ მიუყიდია სახელმწიფოსათვის. გამდიდრებაზე მეოცნებემ არად ჩაგდო ის, რომ თავისი მოქმედებით მთელი სოფელი შეარცხვინა.

დანაშაული ვის შერჩენია? ბობოყვათის კოლმეურნეობის გამგეობამ ისინი გარიცხა კოლმეურნეობიდან და ჩამოართვა საკარმიდამო ნაკვეთი; ი. ბერიძის საქმე გადაეცა პროკურატურას.

კოლმეურნეობის გამგეობამ შეუსუფ ბრიგადის ხელმძღვანელი რ. კონცელიძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო ბრიგადაში საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაცვა, მოხსნა სამუშაოდან.

ა. წულუკიძე.

ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე,

მ. გორგილაძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ხუროთებზე: ცეკვები ოპერეტიდან ზ. ზემოთ — ცეკვა „ოხვრეული“. ახალგაზრდა ტყუპი ძმები ვ. და გ. რაზმაძეები, ქვემოთ — სცენა პიერელი მოქმედებიდან, მარცხნიდან: ნ. ენუქიძე (სოფელი ლიბეი), ზ. ჩიქოვანი (ირემი), მ. ჯოჯუა (ამბაკო) და ლ. სახარულიძე (ცატა).

ზ. გოგოხიას ფოტო.

სცენაზე პრიმინერები

საბავშვო ოპერეტა „შეხვედრა ბანაკში“

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში 1971 წელს ჩამოყალიბდა საოპერეტო დასი — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ შოთა ჯოჯუას ხელმძღვანელობით. ამ კარგ თაოსნობას პიონერთა სასახლის დირექციამ სათანადოდ შეუწყო ხელი. საოპერეტო დასის, წევრებისათვის შექმნეს მხატვრული აღზრდის (ხელმძღვანელი ა. თოდუა), ვოკალური (ხელმძღვანელები რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. ჯანელიძე, ც. ციციქიშვილი) და ქორეოგრაფიული, (ხელმძღვანელები რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ჭოხონელიძე და კულტურის დამსახურებული მუშაკი ა. დარახველიძე) წრეები. ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას ემსახურებიან აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ჩხეიძე და კონცერტმეისტერი ც. ჯანელიძე.

ახლახან ფილარმონიის მცირე დარბაზში საოპერეტო დასმა უჩვენა შ. ჯოჯუას ოპერეტა „შეხვედრა ბანაკში“ (ლიბრეტოს ავტორები ო. რაზმაძე და ვ. შამუგია).

მოწონება დაიმსახურეს მთავარი როლების ნირჩმა შემსრულებლებმა მ. და ლ. ჯოჯუებმა, მ. ჯაბუამ, ზ. ჩიქოვანმა, ე. ცერეკაძემ, ბ. კვეციანმა, ლ. სიხარულიძემ, ე. და ე. ტომაევებმა და ტყუპმა ძმებმა გ. და გ. რაზმაძეებმა, რომლებმაც აგრეთვე შეასრულეს ციკვა „მოხვეური“. კარგი იყო ასაკით ყველაზე უმცროსის ლ. უგულავას ციკვა „ჯერანი“. სპექტაკლში სხვადასხვა როლები განასახიერეს დ. ბანძელაძემ, ე. გოდერძიშვილმა, ბ. ბაბატაშვილმა, ზ. ამირანაშვილმა, ჩ. ბერიძემ, პ. კანაშვილმა, ლ. ციმაკურიძემ და ლ. გეგეჭკორმ.

საბავშვო ოპერეტას „შეხვედრა ბანაკში“, სადაც ნაჩვენებია ქალაქელი და სოფლელი პიონერების დამეგობრება, მოსწავლეთა საოპერეტო დასის შესრულებით ნახავენ არა მარტო თბილისში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

საჭადრაკო მერიდიანებზე

ტალინი. ორი ტურის შემდეგ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ორი ლიდერი ჰყავს — მსოფლიოს ეკს-ჩემპიონი ტალი და გროსმაისტერი ანდერსონი (შვეცია). მათ 1,5-1,5 ქულა აქვთ ორ-ორი თამაშიდან.

მეორე ტურში ტალმა თეთრებით მოუგო საერთაშორისო ოსტატ სეიფის (აშშ), ხოლო ანდერსონმა შავებით დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი პშიბილი (ჩეხოსლოვაკია).

ბუდაპეშტი. 7 ტურის შემდეგ პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ საბჭოთა გროსმაისტერები გელერი და ვაჰანიანი. მათ ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

მეშვიდე ტურში გელერმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ჩოკილიასთან (რუმინეთი), ხოლო ვაჰანიანმა — ასეთივე შედეგით — საერთაშორისო ოსტატ რიბლისთან (უნგრეთი), ვაჰანიანის მიერ ადრე გადადებული პარტია საერთაშორისო ოსტატ ადორიანთან (უნგრეთი) ასევე ყაიმით დამთავრდა.

ჰავანა. 20 გროსმაისტერი, საერთაშორისო ოსტატი და ოსტატი თამაშობს გენიალური კუბელი მოჭადრაკის კაპაბლანკას მეათე მემორიალში, რომელიც 20 მარტამდე გაგრძელდება.

პირველ ტურში სმისლოვი ეთამაშებოდა საერთაშორისო ოსტატ პაოლის (იტალია) და გაიმარჯვა. კუზმინმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ გარსიასთან (კუბა), ამ პარტიაში კუბის ჩემპიონი ჩინებულად იცავდა თავს; გროსმაისტერმა ხავონმა წაიგო გროსმაისტერ ულმანთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

რამდენიმე სტრიქონით

□ **ეს ტონელი** სპორტის მოყვარულები თავიანთი გუნდის მოლოდინელი წარმატების მოწმენი გახდნენ. სსრ კავშირის კალათბურთელთა ჩემპიონატზე (უმაღლესი ლიგა) მიმდინარე გათამაშების აუტსაიდერმა ტარტუს „კალევმა“ გამარჯვება მოიპოვა ერთ-ერთ ლიდერთან — კაუნასის „ჟალგირისთან“ — 77:72 (41:41).

□ სსრ კავშირის პირველობაზე ხელბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის, რომელიც ქალაქ გლაზოვში მიმდინარეობს, ცხკა-ს ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 35:26 დაამარცხა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი მოსკოვის ხაჯიაციო ინსტიტუტის გუნდი და ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან ერთად სათავეში ჩაუდგა სატრენირო ცხრილს.

აი უკანასკნელი ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები: ტაშკენტის სკიფ-ი-კიევის სკა — 27:21, კრასნოდარის „უნივერსიტეტი“-ზაპოროჟიეს „ზაპოროჟალიუმინსტროი“ — 13:17, მოსკოვის „აუსცვეი“-ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტი — 17:20.

□ **მოსკოვის** „სპარტაკის“ ჰოკეისტები 45 ქულით ლიდერობენ ქვეყნის ჩემპიონატს. უკანასკნელ ტურში მათ დიდი ანგარიშით — 7:3 დაამარცხეს დედაქალაქის არმიელები. მრავალგზის ჩემპიონი— ცსკა ახლა ორი ქულით ჩამორჩება „სპარტაკს“.

მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“ და „დინამო“, რომლებსაც 33 ქულა აქვთ თეთრეულს. დინამოელებს რამენაირად უარესი მდგომარეობა აქვთ, რადგანაც მათ ორი შეხვედრით მეტი ჩაატარეს.

ბაბილინა ხოსიტაშვილი

ერეკლეანელი

გარდაიცვალა ხანგრძლივი ხანის მწერალი ბაბილინა ხოსიტაშვილი-კურდღელაშვილი. იგი დაიბადა 1884 წელს ბოდბისხევში (სიღნაღის რაიონი). 1902 წელს თბილისში ჩამოდის და თავის ძმის პოეტ ირაოდიონ ეკეოშვილის დახმარებით და ხელმძღვანელობით ლიტერატურად ეგმეტა იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წელს ბ. ხოსიტაშვილი ისოთამწყობად იწყებს მუშაობას ესაძეების სტამბაში, შემდეგ გადადის მთაწმინდის არალეგალურ სტამბაში, სადაც ამხანაგ იბეჭდებოდა პარტიული ლიტერატურა (ივლაბრის არალეგალური სტამბის დარბევის შემდეგ). 1908-1909 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით მოწყობილ თბილისის საკვირაო სკოლებში, რომელებსაც ზრუნავს არ აკლებდნენ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი და მარიამ დიმორია. მომდევნო წლებში თანამშრომლობს ჟურნალ „ჭეშმარიტებაში“ — „ქალაქელ“ რედაქციაში.

ბაბილინა ხოსიტაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რევოლუციის გარიჟრაჟზე. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა „მოშაში“ 1906 წელს. მთაწმინდის არალეგალურ სტამბაში მუშაობის დროს. აქედან დაწყებული მისი სოციალური ხასიათის ლექსები სისტემატიურად იბეჭდებოდა „ნიდერლანდელ ქალაქელ“ („ქალაქელი“, „ნაკადული“, „თეატრი და ცხოვრება“, „მუშა“, „ცნობის ფურცელი“, „ხალხი“ და სხვ.). 1956 წელს გამოიცა მისი რჩეული ლექსების კრებული, მას მოჰყვა სხვა წიგნები და ბოლოს მემუარები „მშობლიური სოფლიდან დედაქალაქამდე“.

ბაბილინა ხოსიტაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის მთარგმნელობით საქმიანობაში. მას თარგმნილი აქვს პუშკინის, ლერმონტოვის, ლესია უკრაინკას, ვიქტორ ჰიუგოს და სხვა როს და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები, რომელთაგან აოსანიშნავია ლერმონტოვის „მწირი“ და ვიქტორ ჰიუგოს „ჯაცი, რომელიც იცინის“.

ბაბილინა ხოსიტაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. დიდიან საბჭოთა ხელისუფლების ომყარებისა — იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი.

წაიკითა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, ჯალმართალი მწერალი და ჩემი, ოანგარო საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სოციალური, მთელი თავისი ძალლონე მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის ებრძოლას შეალია.

ქართველი მწერლები, ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებენ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

პარიზი სამარყანდთან

სსრ კავშირში სამი დასახლებას მეცხოვრებლებს სრული უფლება აქვთ თავიანთ თავს პარიზელები უწოდონ. პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია.

სამ სამამულო პარიზს შორის ყველაზე უძველესია უზბეკეთში სამარყანდის ახლოს მდებარე **ყიშლაკი**, რომლის ისტორიაც დაკავშირებულია მონგოლთა მბრძანებელ თემურლენგთან. თემურლენგი მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა და მისი ბრძანებით სამარყანდის ირგვლივ გაშენებულ ყიშლაკებს დაარქვეს ის სახელმწიფოების დედაქალაქების სახელები, რომლების დაპყრობასაც თემურლენგი აპირებდა.

მეორე პარიზი მდებარეობს პირველისგან ათასობით კილომეტრის დაშორებით, ლატვიის ქალაქ დაუგავპილსის ახლოს. მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული 1812 წლის სამამულო ომთან.

და, ბოლოს, ჩვენი მესამე პარიზი ჩელიაბინსკის ოლქშია. იგი დაარსეს და მონათლეს გასული საუკუნის 40-იან წლებში პარიზის პოლკის ვეტერანმა კაზაკებმა, ომათ, რომლებიც 1814 წელს პირველნი შეეიდნენ საფრანგეთის დედაქალაქში.

ნახტომი... ტრაქტორით

როდესაც იალტელი პენსიონერი მ. ბონდუსი სახლის კარებს კეტავდა, მოულოდნელად იგრძნო როგორ აზანზარდა ორსართულიანი სახლის კარ-ფანჯრები. მან სასწრაფოდ გააღო კარები და გაოცებისაგან პირი დაიღო: ოთახის შუაში იდგა ნამდვილი ტრაქტორი „ბელარუსი“, ხოლო სახლის პატრონს დაბნეული სახით მისჩერებოდა ორი ახალგაზრდა.

მშენებლებს დასჭირდათ ტრაქტორის გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე. კაბინაში ადგილები დაიკავეს 19 წლის მექანიზატორებმა ლეონიდ მაცოვიკემ და ვლადიმერ ულიანოვმა. პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა... მოულოდნელად დაღმართზე მექანიზატორებს ტრაქტორის მუხრუჭებმა უმაღატეს, დიდი სისწრაფით მიმავალი ტრაქტორი დაეჯახა ქვის ყორეს, გადალახა ოვი და დაასლოებით ოცი მეტრი მიფრინავდა პაერში, შემდეგ კი ორსართულიანი სახლის სახურავზე დაეშვა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ სახურავმა და ჭერმა ვერ გაუძლეს და „ბელარუსი“ ოთახში აღმოჩნდა.

ლეონიდე და ვლადიმერი დაუყოვნებლივ გაგზავნეს იალტის ხალქალაქო საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში. ვლადიმერს ტანზე ვერავითარი მოტეხილობა ვერ აღმოჩინეს, ლეონიდეს კი მხოლოდ რამდენიმე ნეკნი ჰქონდა გატეხილი. ტრაქტორი სახლიდან მძლავრი ამწეთი ამოიღეს.

მეგობარ-ადამიანთან

რამდენჯერმე იქნა შემჩნეული, რომ, როცა რომელიმე მხეცი ან ფრინველი როგორც კი გასაჭირში მოხვდება, მაშინვე ადამიანს მიაშურებს.

ამჯერადაც ასე მოხდა მახაჩკალის ნავსადგურში. ტანკერ „ნიკიტა როგოვთან“ ძლივს მიეურდნ ნახევრადგაყინული გედი, რომელსაც ფრენის თავიც კი აღარ ჰქონდა. მან იგრძნო სიკვდილის მოახლოება და დასახმარებლად ისევ ადამიანს მიმართა.

მეზღვაურებმა ფრინველი გემბანზე ამოიყვანეს, მოასულიერეს, აჭამეს საჭმელი. შემდეგ კი ტანკერმა გედი ბაქოში ჩაიყვანა. აქ იგი ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის მფარველობის ქვეშ მოხვდა. როგორც კი გედი მომაგრდება, მას თავისუფლად გაუშვებენ.

ფრთხილად, აქციენტი!

ქალაქ ბუფალოში (ნიუ-იორკის შტატი) ბილის ექმს სენფორდ შუგარმენს არ უფიქრია, რომ მორიგი პაციენტი, რომელიც გაუბედავად შემოვიდა მის კაბინეტში და შიშით დაჯდა სავარძელში, ასე უცნაურად მოიქცეოდა. როცა სპორული მანქანა ამუშავა და ექიმი შეუდგა თავისი მოგალობის შესრულებას, პაციენტი მორაგ ვოლკი, რომელმაც ტკივილი იგრძნო, მუშტებით ეცა თავის „მფველელ“.

საქალაქო სასამართლომ ოლი დანაშაული ცნო „წესრიგის დარღვევებისათვის“ და მიუსაჯა ჯარიმა.

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც განაწილების მიხედვით დარჩნენ ქ. თბილისში ხამუშაოდ, მიეცემათ თუ არა საცხოვრებელი ბინები?

ნ. არაგველი.

თბილისი.

პასუხი: მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს უფლება აქვთ საცხოვრებელი ბინების მისაღებად აღრიცხვაზე აიყვანონ თბილისში ცხოვრების ვადისა და მუშაობის სტაჟის მიუხედავად ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ განაწილებით სამუშაოდ დარჩნენ თბილისში, საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პირობით.

შეკითხვა: მშობელს აქვს თუ არა უფლება შვილებთან შეუთანხმებლად გაყიდოს თავისი პირადი საკუთრების სახლი?

ნ. მჟედლიშვილი.

თბილისი.

პასუხი: შვილებს, რომლებსაც პირადი შრომით ან სახსრებით მონაწილეობა არ მიუღიათ მშობლებთან ერთად საცხოვრებელი სახლის შენებაში, უფლება არა აქვთ ასეთ საცხოვრებელ სახლზე მშობლების მიერ ასეთი სახლის გაყიდვისათვის შვილების თანხმობა არ არის საჭირო.

შეკითხვა: მოქალაქეს, რომელმაც თავისი პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის აღებასთან დაკავშირებით ბინა მიიღო ხალხთა-სამშენებლო კოოპერატივის სახლში. აქვს თუ არა უფლება გაასხვისოს ეს კოოპერაციული ბინა?

ვ. პაპაშვილი.

თბილისი.

პასუხი: კოოპერაციული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოქალაქის პირადი საკუთრების სახლის აღების შემთხვევაში, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს სახლის ღირებულების ანაზღაურება ან საცხოვრებელი ფართობის მიღება. მისაცემი ბინა ოჯახის თვითეულ სულზე არ შეიძლება იყოს 12 კვადრატულ მეტრზე ნაკლები.

მოქალაქეს შეუძლია მიიღოს სახლის ღირებულება და პირველ რიგში შევიდეს საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრად და საცხოვრებელი ფართობი მიიღოს ამ კოოპერატივში. ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს და მისი ოჯახის წევრებს შეუძლიათ კანონით დადგენილი წესით ისარგებლონ კოოპერაციული ბინის ფართობით, მაგრამ მათ უფლება არა აქვთ ეს ბინა გაასხვისონ.

შეკითხვა: მუშა და მოსამსახურე ქალებს ორსულობისა და შობადობის გამო დაწესებული შვებულების განმავლობაში რა შემთხვევებში ეძლევათ დახმარება ხელფასის სრული ოდენობით?

ი. ნაბრაშვილი.

თბილისი.

პასუხი: მუშა და მოსამსახურე ქალებს, რომლებიც პროფესიული კავშირების წევრები არიან, ორსულობასა და შობადობასთან დაკავშირებით მიღებული შვებულების განმავლობაში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით ეძლევათ დახმარება ხელფასის სრული ოდენობით:

ქალებს, რომლებსაც აქვთ მუშაობის საერთო სტაჟი ორასაკლებ სამი წლისა. მათ შორის განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა; ქალებს, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი, თუ მათ აქვთ განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა; სამამულო ომის ინვალიდებსა და ყოფილ პარტიზანებს; ორდენოსნებს; ნოვატორ ან წარმოების მოწინავე ქალებს, თუ მათ აქვთ მუშაობის საერთო სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა.

ტელევიზია

23 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპროგრამა, 11.15 — მხატვრული ფილმი — „ორი მებრძოლი“, 12.20 — სატელევიზიო ფილმი, 13.00 — „მუსიკალური პროგრამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — საქართველოს ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.25 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — მათემატიკაში, 17.10 — ფიზიკაში, 18.00 — მოსწავლეთათვის. „როგორ ვიზარდეთ“..., 18.25 — კინონარკვევი, 18.35 — „სამეურნეო ანგარიშის სიკეთე“, 18.55 — განცხადებები, 19.00 — კინონარკვევი, 19.20 — „სტანდარტების დონეზე“, 19.40 — სტუდიაშია საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ი. გ. პავლოვსკი. (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეთვრმეტისათვის. „საბჭოთა არმიის და სამხედრო საზღვაო ფლოტის დღე“, 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — სპორტული რეპორტაჟი ბაკურიანიდან, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 23.10 — „სახელოვანი სპორტსმენები“ — ავთანდილ ღოღობერიძე, 23.35 — მსოფლიოს ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდები (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასახმარებლად — ბიოლოგია (მეშვიდეკლასელთათვის) „ფრინველთა კლასის სწავლების საკითხები“, 18.00 — მათემატიკა, (მეხუთეკლასელთათვის), „სიმეტრიის ელემენტები“, „ბაჯიკეთის მწერლებთან“ (განმეორებით), 13.15 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 14.00 — „საესტრადო - პანორამა“, 14.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.00 — მსოფლიოს ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ნაკრები გუნდები (მეორე ტაიმი). ჩემპიონატის საზეიმო დასრულ